მზე და პლანეტები

დააკვირდი სურათს. რა არის შენთვის ნაცნობი ამ სურათზე?

მზე **აირის** ვეება **სფეროა**. ის წამში ოთხ მილიონ ტონა **საწვავს** წვავს. ასე ასხივებს სინათლეს, გამოსცემს სითბოს.

მზის გარშემო ცხრა პლანეტა მოძრაობს. მათგან მხოლოდ ჩვენს პლანეტაზე არის სიცოცხლე. შვიდ პლანეტას ერთი ან მეტი მთვარე ახლავს. მთვარე არ ახლავს ვენერასა და მერკურის. ყველა მთვარე თავისი პლანეტის გარშემო ბრუნავს. ის, რაც მზის გარშემო ბრუნავს, ქმნის მზის სისტემას.

პლანეტა ქანების ან აირის სფეროა. მეტი **მყარი** ქანი აქვს ოთხ პლანეტას. ესენია: დედამიწა, მერკური, ვენერა და მარსი. მათ კლდოვანი პლანეტები ჰქვიათ.

იუპიტერი და სატურნი აირის სფეროებია. ურანი და ნეპტუნი კი აირსაც შეიცავს და ქანებსაც. ურანის ქანებს გარედან აირის თხელი ფენა აკრავს. ნეპტუნის ზედა ნაწილში სქელი ყინულია. შიგნით კი აირებია.

პლუტონი ქანებისა და ყინულის მყარი სფეროა. ზოგი მეცნიერი მას ჯუჯა პლანეტას უწოდებს. ბევრს ის პლანეტად არ მიაჩნია.

მზის სისტემის შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი. გინდა მეტი იცოდე მასზე? თუ ასეა, გირჩევ ამ საკითხზე სხვა ინფორმაციასაც გაეცნო.

(ტექსტი მომზადებულია „მოსწავლის პირველი ენციკლოპედიის“ მიხედვით. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.)

დაფიქრდი, რის შესახებ გაინტერესებს დამატებითი ინფორმაციის მიღება.



კომპონენტი: ბაზეგორიზაცია, **დონე:** 3.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 კლდოვან პლანეტას უწოდებენ:

ა) იუპიტერს. ბ) მარსს. გ) ურანს.

2 რომელ პლანეტებს არ ახლავს მთვარე?

ა) ვენერასა და მერკურის.

ბ) იუპიტერსა და ურანს.

გ) სატურნსა და დედამიწას.

3 როგორი პლანეტებია იუპიტერი და სატურნი?

ა) ორივე აირებისა და ქანებისგან შედგება.

ბ) ორივე აირების სფეროა.

გ) ორივე ყინულის სფეროა.

4 რომელი პლანეტის შესახებ არსებობს ორი მოსაზრება?

ა) დედამიწის. ბ) ვენერას. გ) პლუტონის.

5 რა აქვს საერთო ყველა პლანეტას?

ა) ყველა აირების სფეროს წარმოადგენს.

ბ) ყველას ახლავს თავისი მთვარე.

გ) ყველა ბრუნავს მზის გარშემო.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა:

1. ზოგი პლანეტა **<u>აირის</u>** სფეროა.

   ა) გაზის. ბ) ქანების. გ) ყინულის.

2. მეტი **<u>მყარი</u>** ქანი აქვს ოთხ პლანეტს.

   ა) აიროვანი. ბ) თხევადი. გ) მკვრივი.

2 ტექსტის პირველი აბზაცის მიხედვით დაასრულე განმარტებები.

1. ის, რაც იწვის, არის ----------.
2. ბურთის მსგავსი სხეული არის ----------.

3 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

აირი	შუქი
ფენა	გაზი
სინათლე	შრე

4 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) გარშემო – ირგვლივ. ბ) ვეება – უზარმაზარი. გ) თხელი – სქელი.

გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. სატურნი ---------- შედგება. *(აირებისგან/აირებიდან)*
2. ყველა მთვარე ----------. *(ბრუნავენ / ბრუნავს)*

2 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მწარე— ამწარებს.

1. თბილი – ----------.
2. გრძელი – ----------.

გრამატიკა

3 **რომელი <u>არ არის</u> სწორი?**

ა) აღმოჩენილი პლანეტები. ბ) დიდი პლანეტები. გ) ყველა პლანეტები.

წერა

1 **ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.**

პლანეტები	რისგან შედგება?
დედამიწა, მერკური, ვენერა, მარსი	
იუპიტერი, სატურნი	
ურანი, ნეპტუნი	
პლუტონი	

2 **წარმოიდგინე, რომ მეცნიერი ხარ და აღმოაჩინე ახალი პლანეტა. დაწერე სტატია ამ პლანეტის შესახებ. გამოიყენე მითითებები: 1. დაარქვი მას სახელი. დაწერე, რატომ შეურ-ჩიე ეს სახელი. 2. აღწერე პლანეტა** (როგორია აგებულებით, რა ხდება იქ...). **დახატე აღმოჩენილი პლანეტა**.